პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 5 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მებრძოლი

174 (872) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## GRUSS DER ROTEN KÄMPFER!

Die Anghörigen der Georgischen Roten Armee—die Roten Soldaten, Kommandeure und politischen Mitarbeiter begrüssen aufrichtig die wahren Vertreter des deutschen Proletariats. Zusammen mit der werktätigen Bevölherung Georgiens drücken wir unsere Freude aus: erstens, weil wir die Vertreter der deutschen Arbeiterklasse in unserem Lande sehen, und зweitens, weil Ihr Euch mit der tatsüchlichen Lage unseres Lebens bekannt machen werdet, diese richtig beurteilen wollt und werktätigen Bevölkerung Eures Landes die wirkliche Wahrheit erзáhlen werdet.

So frei wie noch nie зuvor steht heute der georgische Arbeiter und Bauer da; so wie noch nie зuvor sind heute für sie die Grundlagen зur Verwirklichung des Soзialismns gelegt.

Die georgische Rote Armee, erзogen am Beispiele ihrer älteren Schwester, der Russischen Roten Armee, selber Blut wom Blute des georgischen Arbeiters und Bauern, steht fest und unerschütterlich auf ihrem Plaтзe für Freiheit und Unabhängigkeit des Staates der Arbeiter und Bauern und ist bereit die Errungenschaften der OktoberRewoliution bis зum letзten Blutstropfen зu verteidigen.

Wir glauben fest daran, dass die Arbeiterklasse Yesteuropas, sobald sie nur erst aus dem Munde ihrer Vertreter die wahrheit über die Sowyet-Union und insbesondere über Sowyet Georgien erfährt, noch fester als bisher in einer Front mit den werktätigen Massen der Sowyet-Union stehen wird, gemeinsam mit ihnen зur Verwirklichung des Kommunismus, dieses hohen Idieals der Menschheit зu Kämpfen.

Es lebe die deutsche Arbeiterklasse!

Unser herзlicher gruss ihren Vertretern!

## წითელ მებრძოლთა სალამი.

ქართული წითელი ჯარის მებრძოლნი წითელი არმიელები, მეთაურები და პოლიტ-მომუშავენი მხურვალეთ ესალმებიან გერმანიის პროლეტარიატის ჭეშმარიტ წარმომადგენლებს. საქართველოს მშრომელებთან ერთად ჩვენ მოხარული ვართ ჯერ იმით, რომ ჩვენ სამშობლოში ვხედავთ გერმანიის მუშათა კლასის წარმომადგენლებს და მეორე იმით, რომ თქვენ გაეცნობით ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, პროლეტარული სინდისის ქვეშ შეაფასებთ მას და სრული სიმართლეს უამბობთ თავის ქვეყნის მშრომელებს.

როგორც არასოდეს დღეს თავისუფალია საქართველოს მუშა და გლეხი, როგორც არასოდეს მათთვის შექმნილია პირობები სოციალიზმის განსახორციელებლად.

ქართული წითელი ჯარი, რომელიც აღიზარდა თავისი უფროსი ძმის რუსეთის წითელ არმიის მაგალითზე, რომელიც ხორცი და სისხლია საქართველოს მუშების და გლეხების—მხნეთ სდგას მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამოუკიდებლობის და თავისუფლების სადარაჯოზე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს ოქტომბრის მონაპოვარს.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დასავლეთის მუშათა კლასი, როცა თავის წარმომადგენლების პირიდან გაიგებს საბჭოთა კავშირის და საერთოდ საბჭოთა საქართველოს ცხოვრების სინამდვილეს, უფრო მედგრად ამოუდგება საბჭოთა ქვეყნების მშრომელებს გვერდში და მუდამ მასთან იქნება კაცობრიობის უდიდესი იდეალის კომუნიზმის განხორციელების საქმეში.

გაუმარჯოს გერმანიის მუშათა კლასს!

ჩვენი გულითადი მხედრული სალამი მის წარმომადგენლებს!

# ახალი რადიო-ამბები

## 3 აგვისტოს დელეგაცია გამოემგზავრა ბაქოდან ტფილისში.

3 აგვისტოს, საღამოს 11 საათზე ბაქოდან ტფილისში გამოემგზავრა გერმანიის მუშათა დელეგაცია. დელეგაციასთან ახლავს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი სენიუშკინი, ამიერკავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრები სემკოვი და ჭელიძე.

## გერმანიის მუშათა დელეგაცია ტფილისში.

**გუშინ ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია.**

## დელეგაციის მიმართვა ბაქოს პროლეტარიატისადმი.

ბაქოდან წასვლის წინ გერმანიის მუშათა დელეგაციამ გადასცა პრესის წარმომადგენლებს შემდეგი მიმართვა ბაქოს პროლეტარიატისადმი:

„გერმანიის მუშათა დელეგაცია დღეს სტოვებს თქვენს ქალაქს, სადაც ის მოკლე დროს განმავლობაში დარწმუნდა იმაში, რომ ცალკე რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს ერთად-ერთ სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელშიაც ერივნულ უმცირესობისათვის უზრუნველყოფილია სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ქალთა განთავისუფლება საშუალო საუკუნეების მონური ბორკილებისაგან—ესეც თქვენი დამსახურებაა. გერმანიის დელეგაცია ყოველ გვარ ღონისძიებას იხმარს, რომ გაამართლოს მასზე დამყარებული იმედი.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობას! გაუმარჯოს გერმანიისა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს.“

დელეგაციის მინდობილებით **ჰანს ბეკიბენევიცი და მელლე.**

## დელეგაცია 26-ს საფლავზე.

3 აგვისტოს გერმანიის დელეგაციამ დაათვალიერა ბაქოში სხვა და სხვა დაწესებულებები. საღამოს დელეგაცია თავმოხდილი გაემართა 26 კომუნართა სამარესთან. სამარე დელეგაციამ გვირგვინით შეამკო.

ბუნიატ-ზადემ უსურვა გერმანიის დელეგატებს ნუ დაივიწყებენ დაღუპულ 26 ამხანაგის საქმეს.

„დიე—განაცხადა მან—გერმანიის პროლეტარიატმა მიაღწიოს იმას, რასაც ჩვენ მივაღწიეთ თუნდაც დიდი მსხვერპლის გაღებით, ვინაიდან უმსხვერპლოდ ჩვენ ვერას დროს ვერაფერს ვერ მივაღწევთ“.

## საბჭოთა პროფკავშირთა დელეგაცია შანხაიში.

საბჭოთა პროფკავშირთა დელეგაცია მიიღო შანხაის პროფკავშირთა საბჭომ, რომელმაც დელეგაცია გააცნო შრომის პირობებს და გაფიცვების მდგომარეობის. პროფკავშირთა ცნობით ინგლისისა და იაპონიის სამრეწველოებში გაფიცულია 150.000 კაცი. პროფკავშირთა საბჭო თვიურად აძლევს დახმარებას გაფიცულებს 1.200.000 დოლარის რაოდენობით. ჩინეთის კვარტალებში მუშათა ორგანიზაციები იმყოფებიან ჩან-ძო-ლინის რაზმების სასტიკ კონტროლს ქვეშ.

დელეგაცია დაესწრო პროფკავშირთა საბჭოს სხდომას. საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა დელეგატებს. ხაზი გაუსვა საბჭოთა და ჩინეთის პროლეტარიატის ძმურ განწყობილებას და აღნიშნა ის დახმარება, რომელიც გაუწია მათ საბჭოთა მუშებმა.



სრულიად რუსეთის პროფკავშირთა დელეგაცია შანხაიში.
დელეგაციის წევრები:
1. ლეპსე 2. ერისკინი 3. სმურგას.

## იმპერიალისტების ახალი ბოროტ-მოქმედება.

პეკინში ინგლისის პოლიციამ და მეზღვაურებმა დახვრიტეს საექსპორტო კომპანიის მუშები.

ეს მოხდა იმის გამო, რომ მუშებმა უარი განაცხადეს ფაბრიკის ეზოდან გასვლაზე, სანამ არ დააკმაყოფილებდენ მათ მოთხოვნილებებს.

პოლიციამ და მეზღვაურებმა მათ თოფები დაუშინეს; მოჰკლეს სამი და დასჭრეს 16 მუშა.

ქალაქში გადმოსხმულ იქნა ინგლისის მეზღვაურთა გაერთიანებული რაზმები.

## იმპერიალისტურ ომის წლის თავის შესახებ.

**რას სწერენ გაზეთები.**

**„წლის თავი.“**

ამ სათაურით „პრავდაში“ მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„4 აგვისტო—ეს არის დღე, რომელიც აღნიშნულია გამცემლობის ბეჭდით, დღე, რომლის სისხლ დაკრული მწუხარე ელფერი დიდხანს იცოცხლებს კაცობრიობის მეხსიერებაში. ეხლა, ამ წყეულ წლის თავზე, 11 წლის შემდეგ დიდი ისტორიული საზღვარიდან ჩვენი პირველი ფიქრი არა მარტო ძველი, არამედ მომავალი ომიცაა, რომლისკენაც მიექანება კაპიტალიზმი“.

გაზეთი ეხება მაროკოს, ჩინეთის ამბებს, ახალ გამოლაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და სწერს:

„კვლავ ისეთივე ნაბიჯით მოიპარება ნაცნობი ფიგურა ომის, ომის კიდევ უფრო შემაძრწუნებელის, განმანადგურებელის და სისხლიანის. ახლოვდება ბურჟუაზიის წყალობით ახალი საფრთხე—შეამჭიდროვეთ ძალები, ამხანაგებო, დააწყვეთ რიგები, გაანათლეთ ჩამორჩენილები, ფეხზე წამოაყენეთ დაღლილები, გააგონეთ ყრუებს, დაანახეთ ბრმებს“.

**„1914 წლის გარემოებაში“.**

ამ სათაურით „იზვესტიაში“ მოთავსებულია წერილი, სადაც ის ანალიზს უკეთებს საერთაშორისო მდგომარეობას და სწერს:

„ბურჟუაზია“ აწარმოებს ომის რეპეტიციას და მიდის დასკვნამდი, რომ ყველაფერი მზადაა. მზადაა შორს მტყორცნი ქვემეხები, საჰაერო საზღვაო ფლოტები და მხუთარი გაზები. მზად არიან პარლამენტები, პრესა, ეკლესია და სავსებით მზად არის აგრეთვე სოციალდემოკრატიაც.

ყველგან, სადაც ბურჟუაზია ომს აცხადებს, სოციალ-დემოკრატიის ბელადები მის ფერხთ არიან მსახურად. 1914 წელი მობრუნებას აპირებს ჯერ კიდევ გაუგონარი სახით. რეფორმისტული ბელადები ძველებურად ხცდილობენ ჩარეკონ მუშათა მასები სანგრებში და ჩაჰყარონ ისინი ბურჟუაზიის ხორცის ჩიხრიხში.

მაგრამ ბურჟუაზიამ იცის, რომ სანამ შეუდრეკლად სდგას ყველა ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა დარაჯი—პირველი პროლეტარული რესპუბლიკა ქვეყნიერებაზე, მას ხელები ვერ ექნება თავისუფალი: ამაშია ძირითადი მიზეზი, რომ საერთაშორისო კაპიტალი ასე ემტერება საბჭოთა კავშირს. ამიტომ საბჭოთა წინააღმდეგ გამოლაშქრება აუცილებელი პირობაა, რომ ბურჟუაზიამ წარმატებით შეუტიოს მშრომელებს საერთაშორისო ფრონტზე. ბურჟუაზია ამზადებს 1914 წელს, მაგრამ ამ წელს ფხიზლად შეხვდება კაცობრიობა.

ომის საშიშროება ახლოვდება. ყველა ქვეყნის პროლეტარები და ჩაგრულები შეხვდებიან მას მზად ბრძოლისა და გამარჯვებისათვის“.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარული სამსჯავროს წინაშე

**29 ივლისის დილის სხდომა**

**საზოგადოებრივი ბრალმდებლის ამხ. ს. ქავთარაძის სიტყვა.**

**როდის მოხდა საქართველოს ოკუპაცია.**

არის რაიმე შედარება—ამბობს ბრალმდებელი-იმ ოკუპაციის შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა მენშევიკური მთავრობის დროს და იმ ფაქტს შორის, როდესაც აქ შემოვიდა საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონური ჯარები? არავითარი მსგავსება არც პოლიტიკურად, არც ეკონომიურად, არც ისტორიულად.

ოკუპაცია იქნებოდა მაშინ, როცა ეს მომხდარიყო მშრომელი ხალხის ნება-სურვილის წინაალმდეგ.

შემდეგ ბრალმდებელი აღნიშნავს საკავშირო მთავრობის სხვადასხვა გვარ ღონისძიებებს საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და ამტკიცებს, რომ ეს ღონისძიებები თავისთავად ეწინაალმდეგებიან საოკუპაციო ზრახვებს.

**რა დაგვანახა აჯანყებამ.**

თვით აჯანყების მოთავე ანდრონიკაშვილი ამბობს ხალხმა მხარი არ დაგვიჭირაო. სხვების ჩვენებაშიც ხშირად გვესმის მასამ მხარი არ დაგვიჭირაო. მაგრამ იბმება საკითხი: თუ გამოსვლები მასიური არ იყო, რად დასჭირდა მთავრობას ისეთი ზომები? მე შემიძლია ვუპასუხო: ის, რაც მოხდა, დიდ ხიფათს წარმოადგენდა მთავრობისათვის.—ეს მარტო აფიცრობა რომ ავიღოთ საქართველოში—15 ათას კაცამდე ადის. ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ. კიდეც რომ შეიკრიბოს ამდენი აფიცერი, განა იტყვის ვინმე, რომ ეს ხალხური აჯანყებაა? აქ აღნიშნული იყო რომ გურიაში აჯანყებას ფართე ხასიათი ჰქონდაო. ეს აიხსნება იმით, რომ გურია მენშევიზმის ბუდე იყო. მაშ რა იყო ეს აჯანყება? თვით აჯანყების ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ეს იყო ავანტიურა.

**საღამოს სხდომა.**

**ვინ აჯანყდა და რატომ აჯანყდა.**

აქ ბრალმდებელი ლაპარაკობს თუ ვინ მიიღო აჯანყებაში მონაწილეობა და ამბობს: აჯანყების მონაწილენი—ეს იყვნენ რევოლიუციით უკმაყოფილო წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები—აფიცრობა, სამღვდელოება, ვაჭრები სასულიერო მიმართულება და ამაში შედიოდა გლეხობის ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო იყო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უხეში მოპყრობით. აქ ადგილი არ ჰქონდა რევოლიუციონურ აჯანყებას, ის იყო პირდაპირ პოგრომული ხასიათის.

**რა საშუალებით იბრძოდა პარიტეტული კომიტეტი.**

ბრალმდებელს მოჰყავს პარიტეტული კომიტეტის ბრძოლის საშუალებები-ექსპროპრიაცია—ყაჩაღობა, ტერორი და აღნიშნავს საერთოდ პარიტეტული კომიტეტის ტაქტიკას, რომელიც აგებულია კონტრრევოლიუციისა და ევროპის რეაქციის პოლიტიკაზე.

**იყო თუ არა ინტერვენციის მზადება.**

ამის დასამტკიცებლად ბრალმდებელს მოჰყავს საბუთები თვით მენშევიკური მთავრობის დროიდან, როცა ჯერ კიდევ ძალაუფლება მათ ხელში იყო და მაინც ხელს იშვერდენ ანტანტისაკენ და სთხოვდენ მფარველობას ბოლშევიკების წინაალმდეგ; მოჰყავს აგრეთვე საბუთები ხსენებული მთავრობის დამარცხების შემდეგი დროიდან, როცა ისინი ახარბებდენ ევროპის იმპერიალისტებს ბაქოს ნავთს და ამ ნავთისკენ გზად საქართველოს უსახელებდენ და ამბობს, რომ ყოველი ცდა მენშევიკური პოლიტიკას ემყარება ერთ მიზანს: ეს არის საქართველოში იმპერიალისტური გავლენის დამკვიდრება, თუ ამაზე პირდაპირ არ ლაპარაკობენ, ეს მაინც შედეგია მათი პოლიტიკის.

**მენშევიკები აგვისტოს ამბების შესახებ.**

რა გაკვეთილები გამოიტანეს მენშევიკებმა ამ საოცარი აგვისტოს გაკვეთილებიდან. აქ უნდა მომხდარიყო მენშევიკური პარტიის გზის, პროგრამის ძირითადი გადაფასება. მაგრამ თუ ჩვენ მხედველობაში ჭარ მივიღებთ მცირე, ქვედა ჯგუფებს, ეს პარტია წარსებითად იმავე გზას ადგია, როგორც წინად. ამას ამტკიცებს თვით ნოე ჟორდანიას პროკლამაცია, და აქ ბრალდებულ ჯინორიას სიტყვა, როცა ის ამბობს, რომ „მართალია ჩვენ ეხლა დავმარცხდით, მაგრამ მომავალში ჩვენი სისტემა მაინც გაიმარჯვებს“-ო.

დასასრულ ბრალმდებელი ამბობს: „ბრალდებები დამტკიცებულია, სასჯელი უსათუოდ მოსალოდნელია და სასამართლო ღირსეულ სასჯელს გამოიტანს ამა თუ პირსა და ჯგუფზე.

ჩემი ღრმა რწმენაა, რომ სასამართლო ამასთან ერთად მხედველობაში მიიღებს სოციალურ უშიშროებას იმისა, ვინც ამ დამნაშავის სკამზე ზის დღეს“.

**ბრალდებულთა საბოლოო სიტყვები.**

**ანდრონიკაშვილის საბოლოო სიტყვა.**

ბრალდებული ანდრონიკაშვილი შეეხო აჯანყების საკითხს, აღნიშნა, რომ გზა იარაღის საშუალებით არ გამოდგა სწორი და დასასრულ განაცხადა: „აჯანყების შედეგები და მის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა ავალებს საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიებს დაადგენ მშვიდობიან გზას და საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და გზადაგზა გონიერი სადი კრიტიკით მიიღონ მონაწილეობა ქართველ ხალხის ეროვნულ სახელმწიფოებრივ ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში.

ეს არის ჩემი აზრი და საჭიროა, რომ ქართველი პარტიები დაადგენ მშვიდობიან გზას.

ამით ვათავებ მე ჩემს სიტყვას“.

**სასამართლოს განაჩენი.**

**3 აგვისტოს სხდომა.**

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, რომელმაც გასტანა ერთ დღე და ღამეზე მეტი, უზენაეს სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

ს. ს. ს. რ. სახელით, უზენაესმა სასამართლომ მოისმინა რა თავის სამსჯავრო სხდომაზე ბრალდებულთა საქმე,

**ადგენს:**

ვ. დ. ნაცვლიშვილი, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო განთავისუფლებული იქნა.

ი. კ. ლორთქიფანიძის, ვ. მ. ბილანიშვილის, ე. ვ. ლატარიას, ა. ა. ფიჩხაიას, ლ. ფ. ესვანჯიას, შ. კ. თვალთვაძის, ვ. პ. ლაშხიას, ვ. ა. გეგეჭკორის, ფ. ს. შენგელიას, ე. გ. გაბლიანის, ა. ს. კვირიკაძის, მ. ფ. ჰანიშვილის, გ. კ. გოგოლაშვილის, კ. დ. ლორთქიფანიძის, ა. ს. ბოკერიას, ა. ნ. ჩხაიძის, ა. მ. კალანდარიშვილის, ა. ფ. ფანცულაიას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ბრალდება ჩაითვალოს დამტკიცებულად და მიესაჯოს თითოს სამ-სამი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით.

მიიღო რა მხედველობაში, რომ ზემო აღნიშნული პირები არ წარმოადგენენ საფრთხეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა განთავისუფლებულ იქნან ისინი სასჯელისაგან.

**დ. ე. ონიაშვილს** მიესაჯა სამი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ონიაშვილის ავადმყოფობა, სასამართლომ დაადგინა ჩასთვალოს სასჯელი პირობითად 3 წლის ვადით.

**ბ. ს. რცხილაძე და ს. პ. დადიანი** განთავისუფლებულ იქნა სასჯელისაგან.

**ნინიძეს, იმნაიშვილსა დ. გ. გიორგაძეს** მიესაჯა სამი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით. მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, რომ აღნიშნული პირები არ წარმოადგენენ საშიშროებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, განთავისუფლებულ იქნენ ისინი სასჯელისაგან.

**ძაძამიას** მიესაჯა 3 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ ს. ს. რ. ცაკის დადგენილების თანახმად 1925 წლის შვიდი მარტიდან განთავისუფლებულ იქნა სასჯელისაგან.

**ნიკოლოზ ქარცივაძეზე** მოხსნილ იქნა სასამართლო პასუხისმგებლობა სისხ. სამართლის კოდექსის მე-3-ე მუხლის ძალით.

**იაკობ საბაევიჩი და ფანოზაშვილი** გათავისუფლებულ იქნა კოდექსის 16 და 64 მუხლში გათვალისწინებულ ბრალდებისაგან.

ა. კ. **ბახტაძეს, ნ. ნ. ნაკაშიძეს, ვ. ა. ბერიძეს, პ. ი. ხურციძეს და ბელთაძეს** მიესაჯათ 3-3 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით წინასწარ პატიმრობის ვადის ჩათვლით.

**ს. გ. ხოშერიას** მიესაჯა სამი წლის ციხე.

**გ. ანჯაფარიძეს** მიესაჯა 5 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით და წინასწარ პატიმრობის ჩათვლით.

**ავალიშვილს და ბიძინა პირველს** მიესაჯათ 5 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

**გ. დ. ცინცაბაძეს** მიესაჯა 8 წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით და წინასწარ პატიმრობის ჩათვლით.

**კ. ანდრონიკაშვილს, ი. ჯავახიშვილს, გ. ჯინორიას და მ. იშხნელს** მიესაჯათ უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა. მიიღო რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და ბრალდებულთა განცხადება სასამართლოს სხდომაზე, სადაც ისინი მოუწოდებენ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს დაადგენ მშვიდობიან თანამშრომლობის გზას და მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობაში, სასამართლომ შეუცვალა მათ დახვრეტა 10 წლის ციხედ სასტიკი იზოლიაციით და წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრება არ შეიძლება.

# შეთანხმება სანაპირო კონფლიქტის მოგვარების შესახებ.

4 აგვისტოს საგარეო საქმეთა კომისარიატის კოლეგიის წევრმა არალოვმა და პოლონეთის რწმუნებულმა კეტჩინსკიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის სანაპირო განხეთქილებათა მოგვარების შესახებ.

———

# ჩინეთის რწმუნებული საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირში ჩინეთის რწმუნებულად დაინიშნა **სენ-ბაო-ჩი.**

ჩინეთის ჟურნალისტებთან საუბარში სენ-ბაო-ჩიმ განაცხადა, რომ მოსკოვში ჩასვლით მე გავხსნი ახალ ხანას ჩინეთის დიპლომატიაში.

# სამხედრო საქმე

## მომავალ საერთო შეკრებისთვის.

**რა მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს კავშირი.**

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს ჯარების საბრძოლო მუშაობის ყოველგვარ შემთხვევაში. კავშირი საშუალებაა, რის შემწეობითაც უფროსი განაგებს ჯარებს, ხელმძღვანელობს მათ მოქმედებას, მიმართავს მათ ღონისძიებას ერთი მიზნისაკენ.

კავშირი, როგორც სინათლე—ისე აძლევს წარმოდგენას და გაგებას უფროსსა და მეთაურს ყველაფრის შესახებ, რაც მათ გარშემო ხდება. ერთი სიტყვით, თუ კავშირი გვექნება ჩვენ შეგვეძლება ბრძოლის წარმოება, წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენი დაქსაქსული მოქმედება მიგვიყვანს იქამდის, რომ მტერი დაგვამარცხებს ნაწილ-ნაწილად.

როგორი უნდა იყოს კავშირი, რომ მეომრებს შეეძლოთ ბრძოლა სრულიად დაიმედებულებს გამარჯვებაში?

პირველ ყოვლისა კავშირი უნდა იქნას **განუწყვეტელი.** ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირის მოქმედება ერთი წუთითაც არ უნდა სწყდებოდეს. თუ რომ კავშირის რომელიმე საშუალება მიუღებელი ან არასაიმედოა მოცემულ პირობებში, ვსთქვათ, ტელეფონი გაჩაღებული ბრძოლის დროს (ხშირად მტრის ყუმბარა სწყვეტს ტელეფონის ხაზს,) იმ შემთხვევაში უნდა მოაწყო ორმაგი და სამმაგი კავშირიც სხვა საშუალებით (მორბედები, ფლაგები, ფანარი, ძაღლები, პირობითი ნიშნებით, ხოლო დიდ მანძილზე რადიოთი და სხვა).

კავშირმა უნდა უზრუნველყოს გადაცემის სისწორე, ე. ი. მან არ უნდა და უშვას რაიმე შეცდომა. იყო შემთხვევები, როცა შეცდომით გადაცემულ ბრძანებებს დიდი ზარალი და ხშირად დამარცხებაც მოჰქონდათ. აი რატომაა საჭირო ყოველმა წითელ არმიელმა, რომელიც იგზავნება ზეპირი ბრძანებით ან დასმენით, აუცილებლად გაიმეოროს დანაბარები.

ყოველ ბრძანებასა და დასმენას მხოლოდ მაშინ ექნება ფასი, როცა ის გადაეცემა ვადაზე, დაუგვიანებლად.

მაშასადამე **გადაცემის სიჩქარე** თავი და თავი მოთხოვნილებაა კავშირის საქმეში.

ყველა ეს მთავარი მოთხოვნილებებია (განუწყვეტლობა, სიზუსტე, სისწრაფე), მაგრამ არის კიდევ სხვა, მაგალითად: კავშირი სწრაფად უნდა გაიბას ამინდის, დღე და ღამის დროს, წელიწადის დროსა და ადგილის მიუხედავად, ე. ი. კავშირმა კარგად უნდა იმუშაოს ყოველ ამინდში, ღამითა დღით, ზამთარში, ზაფხულზე და შემოდგომაზე ყოველგვარ ადგილზე და ამას გარდა ის ისე უნდა იყოს მოწყობილი, რათა არ სწყდებოდეს მტრის ცეცხლის გამო ან განზრახ გაფუჭებისაგან.

ბოლოს კავშირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ მხრივ, რომ მას არ დაუჭირონ ბრძანება (დასმენა). ყველასთვის ცხადია რა შედეგები მოყვება იმას, თუ რომ მტერმა იცის ჩვენი განზრახვა იმის საშუალებით, რომ მან შესძლო მისი დაჭერა.

ამრიგად კავშირს მრავალგვარი მოთხოვნილება ეკისრება და რომ ეს მოთხოვნილებები სრულდებოდეს,—საჭიროა რათა ყოველი წითელი არმიელი შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევდეს როგორც კავშირის დაჭერის, ისე მის დაცვაში და, თუ რამ გაფუჭდა—მის აღდგენაში, სულერთია თავის ნაწილის იქნება კავშირი თუ სხვისი, მეზობლის.

პ.

# უცხოეთის არმიებში.

**რუმინეთის არმიის მანევრები.**

მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება რუმინეთის არმიის დიდი მანევრები, რისთვისაც გაწვეულ იქნებიან ყველა გვარი იარაღის ძველი სათადარიგოელები. რუმინეთის გაზეთები უკვე აცხადებენ, რომ გენერალური შტაბი შეუდგა გაწვევის ნორმის შედგენას.

**მოიგონეს სამხედრო ტყვეები.**

რუმინეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ სამხედრო სამინისტროს განზრახული აქვს ახლო მომავალში საერთაშორისო წითელი ჯვრის საშუალებით დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან—საბჭოთა კავშირიდან რუმინეთში 10.000 სამხედრო—ტყვეს დაბრუნების შესახებ, რომლებიც, ვითომც, საბჭოთა კავშირში იმყოფებოდეს იმპერიალისტური ომის დროიდან.

**სტრატეგიული რკინის გზა.**

ახლო მომავალში განახლებულ იქნება მოძრაობა სტრატეგიულ რკინის გზაზე, რომელიც ააგეს იმპერიალისტური ომის დროს ავსტრალიელებმა და რომელიც აერთებს მარმოროშს ბუკოვინასთან.

**სტრატეგიული ხიდები.**

რუმინეთის საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრმა გენერალ მაშოიმ მიიღო გადაწყვეტილება სტრატეგიულ მნიშვნელობის ხიდის ასაგებათ სოფელ ხოლდთან, მდინარე სერეტზე.

ამის მიზანია კავშირის მოწყობა სერეტისა და მდინარე ბორლატის მინდვრებს შორის.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ჩვენი სკოლის საქმიანობა.

მე 6 ლეგ. უმცროს მეთ. სკოლა.

კულტ—საგანმანათლებლო მუშაობას თავიდანვე მიექცა ჯეროვანი ყურადღება, ხოლო ახალ ბინაზე გადასვლის შემდეგ ის უფრო გამოცოცხლდა.

მოწყობილ იქნა სპეციალურად ლენინის ოთახი სათანადო ილუსტრაციებით. ლენინიზმის იდეათა პროპაგანდის პრაქტიკულად გატარების მიზნით—საკმაოდ მომზადებული კურსანტებისა და უფპოლიტშემადგენლობის მონაწილეობით შემდგარი არის აქტივი, რომელიც დანაწილებულია მომღერალთა, მკითხველთა და მომხსენებელთა ბირთვებათ.

განსაკუთრებით ყურადღება აქვს მიქცეული საწრეო მუშაობასაც. არსებობს 5 წრე: სამხედროთა წრე. წრის რაოდენობა უდრის—20 კაცს, პოლიტწრე—25 კაცს, ანტირელიგიური წრე—15 კაცს, სპორტწრე—12 კაცს და დრამწრე—15 კაცს.

მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად კვირაში ერთხელ. საწრეო მუშაობაში ჩაბმულია კომკავშირის კოლექტივის საგრძნობი ნაწილიც, სადაც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს.

მოწყობილია ცალკე ოთახში ბიბლიოთეკა—სამკითხველო. კურსანტების მიერ წიგნების მოთხოვნილების სურვილი საგრძნობია, რასაც ადგილობრივი პირობები ვერ აკმაყოფილებს.

სკოლის ბიბლიოთეკა ლეგიონის ბიბლიოთეკიდან ღებულობს განსაზღვრულ ნაწილს გაზეთების, რაც ვერ აკმაყოფილებს სკოლის კურსანტების მოთხოვნილებებს.

საჭიროა გამოწერილ იქნეს სხვა და სხვა გაზეთები.

ამ მოკლე დროში კურსანტების მიერ მშვენივრად იქნა მოწყობილი კლუბი. რომლის საზეიმო გახსნა რევოლიუციონური ინსცენიროვკის დადგმით მოხდა 25 ივლისს. თვით კურსანტების აქტიური მონაწილეობით კარგა ხანია შემდგარი არის სარედაქციო კოლეგია.

გამოდის კედლის გაზეთი „წითელი მხედარის" სახელწოდებით.

საერთოდ კურსანტების საგრძნობი ნაწილი დიდი ხალისით ეკიდება ყოველგვარს საქმიანობას.

უფ-პოლიტშემადგენლობასა და კურსანტებს შორის მეგობრული დამოკიდებულებაა. თავისუფალ საათებში უფპოლიტშემადგენლობას და კურსანტებს შორის იმართება საუბრები სხვა და სხვა თემებზე.

იმედს გამოვსთქვამთ რომ ამ უახლოეს ხანებში ჩვენი სკოლა შესძლებს მტკიცე მხედრული და რევოლიუციონურ სულით გაჟღენთილ კურსანტების გამოშვებას.

ვ. ლ—ძე.

## გვასწავლეთ წერა-კითხვა.

მე-5 ლეგიონი.

მეხუთე ლეგიონის საკომენდანტო ოცეულში ვართ სულ ათი წითელ-არმიელები. ჩვენს შორის არ გამოინახება არც ერთი წითელი-არმიელი, რომელმაც რიგიანად იცოდეს წერა-კითხვა. ამის მიზეზი აქამდი იყო ის, რომ ხშირად გვიხდებოდა ყარაულში სიარული, მაგრამ ახლების მოსვლის შემდეგ დიდი შეღავათი მოგვეცა და სწავლისათვის საკმარისი თავისუფალი დრო გვაქვს. რამდენჯერმე მივმართეთ ასეულის უფროსს და პოლიტხელს. რომ ჩვენთვის დაეწყებინებია სწავლა, მარა ყურადღებას კაცი არ გვაქცევს. ჩვენ მალე უვადო შვებულებაში წასვლა მოგვიხდება და რა უნდა ვასწავლოთ ჩვენს მეზობლებს, როცა ჩვენ თვითონ არაფერი გვეცოდინება. მოგვაქციეთ ყურადღება ვისაც ეს ეხება და ჩქარა დაგვაწყებიეთ მეცადინეობა.

სამხკორი მეთვალყურე.

## ტერარმიელთა მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

მე-4 ლეგ. მე-7 და მე-9 ტყვიამფ ასეულები.

ცვალებადელებთან მეცადინეობს უფ. და პოლიტშემადგენლობას ენერგიულათ შეუდგა; მათში დისციპლინის დამყარებას და პოლიტ-სამხედრო მომზადებას, დიდი ყურადღება ექცევა. ამაში დიდ დახმარებას უწევს არსებული სხვა და სხვა წრეები და რაც უმთავრესია ლენ-კუთხე, რომელიც თავის მოწყობილობით იზიდავს ცვალებადელებს.

ახალგაზრდებიც გამსჭვალულნი ცოდნის შეძენის მიზნით, ფხიზლად ეკიდებიან საქმეს და კარგად ითვისებენ უფროს ამხ. მიერ გადაცემულს და დარიგებებს.

ყველაზე კარგი შედეგი ემჩნევა კულტურულ და სამხედრო მომზადებას. წითელ არმიელების საკუთარი ძალით ჩატარებულ იქნა სამჯერ წარმოდგენები, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

ახლო წარსულში ჩატარებულ იქნა სამოსწავლო სროლა, რაიც საუკეთესო შედეგებით დამთავრდა.

პოლიტმეცადინეობა კი ცოტათი მოიკოჭლებს, რადგანაც კომპლექსიურ მეთოდთან ერთად საჭიროა სახელმძღვანელო წიგნები, რაც ქართულ ენაზე ცოტა გვაქვს.

წერა-კითხვის უცოდინარნიც ბეჯითად სწავლობენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტერარმიელი ამ ოთხი თვის განმავლობაში შეიგნებს და შეითვისებს იმას, რაც საჭიროა რევოლიუციონერ მებრძოლისთვის.

სამხკორი შ. ღ—ძე.

## მესანგრე ასეულის ცხოვრებიდან.

სულ თვე ნახევარი არის მას შემდეგ, რაც ჩვენი ასეული შეივსო ახალ წვეულ წითელ არმიელებით.

მათ შორის ცოტანი იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი. წერა-კითხვის უცოდინართ დააწყებინეს სწავლა. დაურიგეს მათ რვეულები, ფანქრები და საჭირო წიგნები.

ჩვენს ასეულში სისტემატიურათ ტარდება პოლიტიკური საათი, დღეში ორჯერ, აგრეთვე სამხედრო და სპეციალური საგნები, რომლებსაც გულმოდგინეთ ითვისებენ ამხანაგები.

დიდის ინტერესით ეკიდებიან გაზეთების, ჟურნალების და წიგნების კითხვას.

ახალ წვეულები ძველ წითელ არმიელებთან ერთად ჩაბმულნი არიან ასეულში სხვა და სხვა წრეების და ჯგუფების მუშაობაში.

წ. არ. ფრანგი.

## უნდა იმუშაონ დანიშნულებისამებრ.

მე-4 ლეგიონი.

ლეგიონის იარაღის გამგე საშინელ მდგომარეობაშია.

ცვალებადი შემადგენლობა გადის ეხლა სროლაში სავარჯიშოთ და იარაღის გამგეს უხდება დიდი მუშაობა, რადგან ის მარტოა და არავინ ყავს დამხმარე.

იარაღის გამგეს შტატის მიხედვით ყავს თანაშემწე და ტეხნიკი, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი ამ შტატში გატარებული პიროვნებანი არ მუშაობენ იარაღის გამგესთან, არამედ მუშაობენ საშენო ნაწილის კანცელარიაში.

დროა მიექცეს ამას ყურადღება და შტატი წავიდეს დანიშნულებისამებრ, თუ გვინდა დავაყენოთ საერთო საქმის ერთერთი დარგი სათანადო სიმაღლეზე.

სამხკორი ფინთიხი.

## სასმელი წყლის შესახებ.

მე-2 არტლეგიონი.

ადუღებელ წყალის დალევა ჩვენთან აკრძალულია. წყალსადენ ონკანთან დარაჯი დგას და ახლოს არ უშვებს წითელ არმიელებს. გვიხდება ცხელი წყალის დალევა. მის გაცივებაზე კი კაცი თავს არ იწუხებს. გააცივეთ წყალი ყინულით, თორემ უამისოდ მისი დალევა პირდაპირ საშინელებაა.

აგრეთვე პირის დაბანისთვის რიგში დგომა და ცდა გვიხდება. ერთი ონკანია და ყველა ვერ ასწრებს.

მოაწესრიგეთ ეს საქმეც.

სამხკორი წაბლის ხე

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ტყავტრესტის მუშები ჩვენთან.

1-ლი ლეგიონი.

ჩვენი წითელ არმიელები მეცადინეობის შემდეგ ისვენებენ. აგერ მუსიკაც მოვიდა და დაუკრა საცეკვაო. გაიმართა ცეკვა-თამაში.

უცბად გაისმა ხმა: „სტუმრები მოდიანო"! ბანაკს ტყავტრესტის მუშები უკვე მოახლოვებული იყვნენ. მათ წინ მოუძღოდათ დროშა და საკუთარი მუსიკა.

ლეგიონის მორიგე იძლევა განკარგულებას: „დაეწყვეთ" და ერთი წუთის განმავლობაში ჩვენი ლეგიონი მზად არის სტუმრების დასახვედრად.

დაიგრიალა ორივე მხარეების მუსიკამ გაისმა ვაშას ძახილი.

მისალმების შემდეგ მივდივართ, კლუბში სადაც ნაჩვენები იქნება საგანგებოდ მოტანილი კინოსურათი.

კლუბის გამგე ამხ. წულუკიძის თხოვნით წითელ-არმიელები და მუშები აირივნენ ერთმანეთში და შეუდგნენ ერთი მეორის ყოფაცხოვრების გაცნობას.

— ამხ. როგორ გეპყრობიან უფროსები? გაქვთ თუ არა სწავლა? ეკითხება ერთი მუშა წითელ-არმიელს.

წ.-არმიელი ამ კითხვაზე სრული უზრუნველყოფას გამოსთქვას და მეთაურების მიერ ამხანაგური მოქცევას რამაც მუშა დიდათ გაახარა. რამოდენიმე ხნის შემდეგ გათავდა კინოც და ჩვენი სტუმრები დაკმაყოფილებული ჩვენი ყოფა ცხოვრებით და მოქმედებით, გამოეთხოვენ წ. არმიელებს და გაემგზავრენ თავიანთ ბინისკენ. ჩვენი წ. არმიელებიც დიდათ კმაყოფილი დარჩენ მათი სტუმრობით.

წ. არმიელები იმდენად დაინტერესებული დარჩენ ტყავტრესტის მუშების მოსვლით, რომ სასურველად მიიჩნიენ მათი უფრო ხშირად მოსვლა და ასეთი ერთი მეორესთან ხშირი სტუმრობით იმედი გვაქვს, რომ უფრო დაუახლოვდებით ერთი მეორეს და განვამტკიცებთ მჭიდრო კავშირს.

სამხკორი დურბინდი.

## საჭიროა ქიმიის საათი.

1- ლი ლეგიონი.

პირველ ლეგიონის პირველ ასეულში ყოველ დარგში მეცადინეობაკარგად მიმდინარეობს.

ტაქტიკა, პოლიტ-საათი, ტანთვარჯიშობა, საინჟინერო და ბევრი სხვა შევისწავლეთ და შევითვისეთ, მხოლოდ ქიმიის შესწავლას ვართ მოკლებული. ამ საგნის შესწავლა დიდათ საჭიროა საერთოდ ყველასათვის და წითელ-არმიელებისათვის განსაკუთრებით. ზამთარში სამ ოთხჯერ ჩატარდა ქიმიის საათი, თორემ შემდეგ აგერ გადის ზაფხული და ის არავის მოგონებია.

სასურველია და საჭიროც ქიმიის საათის შემოღება.

წითელ-არმიელი გ. კ—ლი

## მოუმატეთ სანიტრები.

1- ლი ლეგიონი

პირველ ქართ. მსრ ლეგიონს ყავდა სულ 14 სანიტარი, ამათგანი ზოგი გადაიყვანეს სხვაგან, ზოგი შვებულებაშია და ზოგი ავად და დარჩა სამსახურში ოთხი კაცი. ამათი მდგომარეობა მართლადაც აუტანელია. 12 კაცის სამუშევარს ოთხი კაცი დიდ ხანს ვერ გაუძლებს და ერთ მშვენიერ დღეს დავარდებიან. ამის გამო სანიტრებმა განცხადებით მიმართეს უფროს ექიმს, მარა ჯერ პასუხი არ სჩანს.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და მოემატოს სანიტრების რიცხვი.

სამხკორი დ—ი

## ენერგიული პოლიტხელები.

მე-2 ლეგიონი.

მე-2 ლეგიონის პოლიტხელები ენერგიულად მუშაობენ.

დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება მეტი მომზადებული დაუბრუნონ სოფლებს წით. არმიელები.

მათ შორის არის ერთი პოლიტხელი ამხ. გოგუაძე, რომლის მუშაობას არა აქვს საზღვარი. გოგუაძემ არ იცის დასვენება, მას ყოველთვის დაინახავთ ხელში გაზეთით ან წიგნით წით-არმიელებთან, და უხსნის მათ გასაგებ ენაზე, თუ რა ხდება სხვა და სხვა სახელმწიფოებში.

ის თავის საუბრებით იწვევს წით-არმიელებში დაინტერესებას საქმ. სადმი.

წითელ-არმიელი X.

## მოსპეთ ეს ნაკლოვანებანი.

1-ლ ლეგიონი.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის წითელ-არმიელები დავდივართ საგარნიზონო ყარაულში, ხშირად დანიშნულ ადგილამდე ყაზარმიდან სირბილით გვიხდება წასვლა, რადგან მეცადინეობიდან გვიან გვანთავისუფლებენ და თუ არ ვირბინეთ ისე ვერ მივალთ საყარაულო ადგილში დანიშნულ დროს. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ეს კითხვა მოგვარებული იქნას ისე, რომ სირბილი არ მოგვიწიოს და თავის დროზე მივიდეთ საყარაულოზე.

ამის გარდა საყარაულოში ყოფნის დროს სადილ-ვახშამის წაღება გვიხდება ყაზარმიდან თავდაუხურავ ქვაბებით.

ასეთ ქვაბებში გზაში მტვერი ცვივა და საჭმელი უვარგისი და უსუფთაო ხდება. საჭიროა სადილის წასაღებად შეძენილ იქნას თავდახურული ქვაბები.

სამხკორი გ. კოპალეიშვილი.

## რატომ არ ვღებულობთ გაზ. „კომუნისტ"-ს.

1-ლ ცალკე საკავშირო ასეული.

პირველ ცალკე საკავშირო ასეულში საყარაულოდ დარჩენილი რამოდენიმე წითელ-არმიელები ვღებულობდით გაზ. „კომუნისტ"-ს და „წითელ არმიელ"-ს. პირველ ივლისიდან ჩვენ შეგვიწყვიტეს გაზ. „კომუნისტი"-ს გზავნა, რითაც დიდათ გულნატკენი დარჩენ წითელ არმიელები. ბიბგამგევ, გვიპასუხეთ გაზეთის მიუღებლობის მიზეზი. შემდეგში ფიქრობთ თუ არა ჩვენთვის გაზ. „კომუნისტ" ის გამოწერას?

წით. არმ. პირელი.

## უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელის წერილი.

გამოუწერეთ გაზეთი.

ლეჩხუმის სამხედრო კომისარიატში არიან მოვლინებული ლაშქრის ნაწილებიდან წითელ არმიელები.

აქ წითელ არმიელებს არ მოსდის გაზეთი „წითელ არმიელი", რომელიც გამომხატველი არის ლაშქრის ყოფა-ცხოვრების. ამისთვის ყოველ სამხედრო დაწესებულებებს, სადაც არ უნდა იყოს, უსათუოდ უნდა მოსდიოდეს გაზ. „წითელ არმიელი".

ქ. 1-ლ და მეორე დივიზიას აქვს საკუთარი გაზეთი, რომელიც ყველა ლაშქრელებისათვის ხელ მისაწვდომია.

ამისთვის ყოველი წითელი არმიელი უნდა ღებულობდეს თავის გაზეთს.

ლეჩხუმის მაზ. კომისარიატის სამხკომო, გამოუწერეთ გაზეთი „წითელ არმიელი" თქვენს განკარგულებაში მივლინებულ წითელ ლაშქრელებს.

უვადო შვებულებაში მყოფი ლაშქრელი

# პარტიული ცხოვრება.

### მე-3 ლეგიონის კომუჯრედში.

25 ივლისს შესდგა მე-7 სამნეო ასეულის და ცხენოსან მზვერავთა ოცეულის კომუჯრედის გაერთიანებული კრება.

ჭიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჭავჭანიძემ, რომელმაც ვრცლად დაახასიათა კრების წინაშე კონცესიის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობისათვის.

ამ საკითხმა გამოიწვია მრავალი შეკითხვები, რასაც ჯეროვანი პასუხი გაეცა მომხსენებლის მიერ.

ჩინეთის ამბების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფრანგიშვილი, რომელმაც ფართოთ გაგვაცნო ჩინეთის ხალხის ბრძოლის მიზეზი უცხო კაპიტალისტების წინააღმდეგ.

მაროკოს შესახებ მოხსენება აკეთებს ამხ. ინაშვილი, რომელიც აღნიშნავს მაროკოელების ენერგიულ და თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლების მოსახვეჭათ.

მოხსენებებს დიდი ინტერესით უსმენდა ყურს კრების შემადგენლობა. მოხსენებათა დამთავრების შემდეგ იქნა სათანადო რეზოლიუციები გამოტანილი. აგრეთვე მიმდინარე საკითხებში იყო სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხები რომელზედაც გამოტანილ იქმნა შესაფერისი დადგენილებანი.

წ. არ. ინაშვილი.

### მე-4 ლეგიონის მე-6 ასეულის კომუჯრედში.

მე-6 ასეულში არის კომ-უჯრედი. კრებები იმართება სისტემატიურათ კვირაში ერთხელ, პარასკეობით, სადაც ირჩევა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები ჩვენი პარტ-აღმზრდელობის მნიშვნელობის შესახებ. კრებებს ესწრებიან უპარტიო წითელ არმიელებიც.

აგრეთვე უჯრედის დავალებით არიან გამოყოფილი სხვა და სხვა დაწესებულების გამგენი, რომლებიც ესწრებიან ჩვენს კრებებს და აკეთებენ მოხსენებებს თავიანთი დარგის მნიშვნელობის და მუშაობის შესახებ, მაგ., როგორც ჯანმრთელობის, ისე სას. სამ. გადასახადის, საგლეხო ბანკის და სხვ. ჩვენს უჯრედს შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი მახლობელი სოფელი, სადაც ვაწარმოებთ მუშაობას, ჩვენი საშეფო მუშაობით დიდათ კმაყოფილნი არიან ადგილობრივი მცხოვრებნი. ჩვენს უჯრედს მიმაგრებული ჰყავს თავის წევრები სხვა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებში მათ კრებებზე დასასწრებათ.

პარტკორი გრიშა ქაფიანიძე.

### 1-ლ ლეგიონის კომუჯრედში.

კვირას, 2 აგვისტოს, დილის 9 საათზე, 1-ლ ქართულ ლეგიონის პირველ ასეულში შესდგა კომუჯრედის მორიგი ღია კრება.

კრებას დაესწრო როგორც პარტიული, ისე უპარტიო ამხანაგებიც. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

1. პარტიაში კანდიდატათ შესვლის განცხადებები, 2. კვირეული მიმოხილვა და 3. მეორე სესიის მუშაობის შესახებ.

განცხადებების განხილვის შემდეგ პარტიის კანდიდატებათ ერთხმად დამტკიცებულ იქნა სამი ამხანაგი. კვირეულის მიმოხილვიდან მოხსენება გააკეთა ამხ. გელაშვილმა საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მეორე სესიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ერაძე, რომელიც დაწვრილებით აცნობს კრებას სესიის მუშაობას და მის მიერ გამოტანილ დადგენილებას.

პარტკორი ზ. კოპალეიშვილი.

# ნაწილების წერილებიდან.

### კარგს კარგი დაუმატეთ.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონს აქვს მშვენივრად მოწყობილი სასადილო. გემრიელი სადილი, სუფთა თეფშები, თავის დროზე მოტანა და სხვა. ერთი სიტყვით სრული წესრიგია სასადილოში დაცული, ერთ ნაკლს რომ არ ქონდეს ადგილი. ჩაის საქმე ვერ არ არის კიდევ კარგათ მოწესრიგებული. არ არის საკმაო რიცხვი „ჩაინიკებისა". და ერთი ჩაინიკიდან უხდებად რამოდენიმე წითელ არმიელებს ჩაის დალევა, ზოგნი კი ვერ ასწრებენ და უჩაიოდ რჩებიან.

შეიძინეთ ჩაინიკები!

კოპალეიშვილი.

### ფეხსაცმელები დაგვეხა.

1-ლ ლეგიონის პირველ ასეულის წითელ არმიელებს ფეხსაცმელები ძალზე დაგვეხა. გვპირდებიან შეკეთებას, მარა ამ დაპირებას დასასრული არ უჩანს.

დროზე შეგვიკეთეთ ფეხსაცმელები!

სანხკორი გ. ქ—ლი.

### ხშირად ასეთი კრებები.

25 ივლისს, შესდგა ქარულ გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლის საერთო კრება. კრების მიზანი იყო, კურსანტებისთვის მიეცა გაუგებარ საკითხების ახსნა-განმარტება. კურსანტები ძალიან კმაყოფილი დარჩენ ამ კრებით.

ხშირად ასეთი შინაარსის კრებები!

სამხკორი რა—ფი.

### გაგვიხსენით სასადილო.

მე-4 ლეგიონს არ აქვს თავის სასადილო, რაც მეტად ცუდ მდგომარეობაში გვაყენებს. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება სამნეო ნაწილმა და იზრუნოს სასადილოს გახსნაზე.

სამხკორი ფ—ხი.

### მოგვეცით დალაქი.

პირველ საარტილერიო ლეგიონის სამმართველოს გუნდს არ ყავს დალაქი. ბანაკში რაც მოვედით მას მერმე არ გაგვიპარსია წვერი. ჩვენს თხოვნაზე გვეპნებიან, რომ ბატარეიაში ჩამოვა დალაქი და მაშინ მიაიპარსეთო. ბატარეის არმიელებს ვერ ასდის ჩამოსული დალაქი და ჩვენ კი ისევ გაუპარსავი ვრჩებით.

მოგვეცით დალაქი!

წ. ა. გიორგი ობოლი

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ვმსახურებ მე-10 რკინის გზის რუსულ ლეგიონში. მე რუსული არ ვიცი და ძალიან მიჭირს მეცადინეობა. გთხოვთ მიპასუხოთ შემიძლია თუ არა გადასვლა ქართულ ნაწილში?

წითელ არმიელი **მუჩვინაძე.**

**პასუხი.** შეგიძლიათ. ამის შესახებ მიმართეთ თქვენს უფროსს.

**პასუხი** წითელ არმიელ—შ. ჭეიშვილს. თქვენს შეკითხვის შესახებ მიმართეთ ლეგიონის შტაბის უფროსს და ის მოგცემთ განმარტებას.

**კითხვა.** შევედი პარტიის კანდიდატათ. ჩემთან შესულ ამხანაგებს უკვე მოუვიდათ პირადობის წიგნაკები, მე კი არა. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რა არის ამის მიზეზი?

**გიორგი აფაქიძე.**

**პასუხი.** პარტკომისიის კვლევა-ძიების შემდეგ გამოირკვა რომ თქვენ არ ხართ მიღებული პარტიაში.

**კითხვა.** მე ვმსახურებდი რკინის გზის არტელში. 1924 წელს გამიწვიეს ჯარში. სამსახურის გათავების შემდეგ მომეცემა თუ არა ჩემი ადგილი?

**წ. არმ. ვ. ბოგვერაძე.**

**პასუხი.** ვალდებულნი არიან მოგცენ თქვენი ადგილი.

**კითხვა.** ვმსახურებ მე-2 ტერლეგიონში. მიჭირავს ერთი ოთახი. სახლის პატრონმა მიჩივლა და სასამართლოს დადგენილებით მაგდებს ოთახიდან. ოთახი შედის სამხედრო ფონდში. შეუძლია თუ არა სასამართლოს გადამასახლოს, თუ სამაგიერო ბინა არ მიშოვნა?

მე-4 ლეგ. **1-ლი ათასეულის თავი მ. ბოსიკაშვილი.**

**პასუხი.** თუ ასრულებთ ბინის შესახებ არსებულ კანონებს, სასამართლოს არ შეუძლია თქვენი გადასახლება. თუ თქვენი გადასახლება მოხდა, სასამართლომ ეს ბინა უნდა გადასცეს სხვა სამხედრო პირს, როგორც ფონდის ოთახი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### თევზი პარაზიტი „ხაგფიში".

ოკეანის წყლებში, კალიფორნიის მიდამოებში (ჩრდილოეთ ამერიკაშია) არის თევზი, რომელიც ცნობილია „ხაგფიშის" სახელწოდებით, და რომელიც მეტად დიდ ზარალს აყენებს ადგილობრივ თევზის სამრეწველოებს.

ტანის ფორმით ის მოგვაგონებს ძლოკს, აქვს სამი გული, რომელთაგან ერთი მოთავსებულია კუდთან.

მისი სიგრძე უდრის დაახლოებით 18 დუიმს და აქვს ცისფერ-ლილისფერი ფერი; ის უძვრება დიდ თევზებს შიგნეულში და თანდათან ჰამს მას (შიგნეულს); ამგვარად ის ღუპავს მრავალ თევზს. საინტერესოა ერთი გარემოება—თვით ხაგფიში ბრმაა, მაგრამ მიუხედავად ამისა აკვარიუმში, სადაც მოთავსებულია სხვა და სხვა გვარი თევზები, თუ ჩავაგდებთ საჭმელს, ხაგფიში ყველაზე უწინ იგრძნობს საჭმლის არსებობას და ხარბად მივარდება მას. ამ თევზს ანადგურებენ ყოველგვარი საშუალებით; ამჟამად მეცნიერები დაინტერესებული არიან ხაგფიშით, რომელიც ნაკლებადაა ცნობილი ზოოლოგიაში. ერთი ჯგუფი სწავლულებისა უკვე გაემგზავრა კალიფორნიაში ამ მავნებელი თევზის შესასწავლად და მისი გახანადგურებელი საშუალების გამოსანახად.

### სიკვდილის იშვიათი შემთხვევა რადიოთი.

26 მაისს, ინგლისში, სამხედრო ჰაეროპლანის გაფრენის დროს ანდროვერის ჰაეროდრომზე მოხდა სიკვდილის მეტად იშვიათი შემთხვევა. აპარატზე იმყოფებოდა პილოტი და რადიოტელეგრაფისტი, რომელიც ახდენდა ცდებს რადიომოწყობაზე. აფრენიდან ხუთმეტი წუთის შემდეგ პილოტმა იგრძნო რაღაც სუნი და შეამჩნია ბოლი, რომელიც მოდიოდა იმ მხრიდან სადაც იჯდა რადიოტელეგრაფისტი ფ. ლოური. მფრინავმა მიკეტა მამოძრავებლის საფარველი და ჰკითხა: „რაშია საქმე". მაგრამ რადგან არ მიიღო პასუხი დაეშვა ძირს. სერჟანტი ფ. ლოური აღმოჩნდა მკვდარი ელექტრობით.

კომისიამ, რომელმაც გამოირკვია კატასტროფის მიზეზები, აღმოაჩინა შემდეგი უარყოფითი მხარეები რადიოს-მოწყობისა ჰაეროპლანზე:

1) ელექტრო-დენის გენერატორთან შეერთებული იყო საქარე მეტად დიდი ზომის.

2) სასმენ მიმღებ აპარატში აღმოჩნდა არა სწორი განცალკევება.

3) ელექტრობის დაცლაში გავლენა იქონია რადიო-ტელეგრაფისტის ლითონის მუზარადმა.

4) აკუმულიატორი, რომელიც ასაზრდოებდა გადამცემის დაბალ დაძაბულობას, იყო დახრილი მიწისკენ.

ამ ოთხგვარი უწესრიგობის კომბინაციის წყალობით რადიო-მოწყობაში, ელექტრობამ გაიარა პირდაპირ სერჟანტში და მოჰკლა ის წამსვე. თვითეულ ცალკე მიზეზს არ შეეძლო კატასტროფის გამოწვევა.

აღნიშნული შემთხვევა არის პირველი და ამასთანავე გამონაკლისი რადიო-ტელეგრაფის სფეროში.

# ჩვენი ფოსტა.

**შ. ლ—ძეს.** მოიწერეთ თქვენი ვინაობა. ამის უმისოდ წერილი არ დაიბეჭდება.

**ინაშვილს.** თქვენი საყვედური უსაფუძვლოა. თქვენი წერილები თითქმის ყოველ დღე იბეჭდება ჩვენს გაზეთში.

**გრიგოლიას.** თქვენი კორესპონდენცია „ანტირელიგიური წარმოდგენა" არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო წერილი ჩვენს გაზეთში.

**მ. ვ.** თქვენი კორესპონდენციები ერთი და იმავე შინაარსისაა. მსგავსი წერილები უკვე დაიბეჭდა გაზეთში. არ გავა. სწერეთ სხვა თემებზე.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ წითელ არმიელს ქუთაისის მაზრის მცხოვრებს ამხ. პარმენ გელაზონიას. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის მე-10 კომუჯრედში.

---

შემოსულია განცხადებები მე-3 ქართულ მსრ. ლეგიონის პარტბიუროში—კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგი ამხანაგებიდან: 1. წით. ლაშქრ. აკოპაშვილი სიმონი მიტოს ძე, ბორჩალოს მაზრის, სოფ. რატევანი, 2. ლონდამაშვილი სტეფანე გიორგის ძე, ბორჩალოს მაზრა, სოფ. რატევანი, 3. ბენიძე ალექსანდრე ბეგლარის ძე, ლეჩხუმის მაზრა, სოფ. ზუბი, 4, თავდიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, ოზურგეთის მაზრა, სოფ. პატარა ოზურგეთი, 5. რობაქიძე ვასილი ბესარიონის ძე, ქ. ქუთაისის მცხოვრები, 6. კოსტავა დავითი იაკობის ძე, ქუთაისის მაზრა ფარცხანაყანების თემი, 7. პაპავა კონდრატე ალმასხანის ძე ზუგდიდის მაზრა. სოფ. ხორგა, 8. ჯიოვი ნიკოლოზი პავლეს ძე, ცხინვალის მაზრა, სოფ. ციბთათის, 9. ხუბეჟოვი თანაოზი მიხეილის ძე, ცხინვალის მაზრა, სოფ. სამწყაროში, 10. ზარიევი ივანე იაგორის ძე, ქ. თბილისის მაზრის. თუ ვინმეს მოეპოვებათ ზემოხსენებული პირებზე უარყოფითი ცნობები გთხოვთ გვაცნობოთ მე-3 ქართ. მსროლელ ლეგ. პარტბიურო კოლექტივში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

---

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიის კანდიდატებს პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმეს მოეპოვება უარყოფითი ცნობები მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-2 ქ. მ. დივ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, სიტყვიერად ან წერილობით. უსახელო წერილები არ მიიღება.

1. კოდანოვი ლევან ილიას-ძე, მესანგრე ასეულის ზემდეგი. ქ. თბილისის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრ. 2. ჯაფარიძე ილარიონ, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრიდან. 3. მოწონელიძე ალექსანდრე მეთოდეს-ძე, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრა, ახ. ლ. კომ-კავშირის წევრი 1921 წლიდან და კომუნისტური პარტიის კანდიდატი 1925 წლის იანვრიდან.

უჯრედის პას. მგ. მდივანი.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

**დაკარგე** მოწმობა მოცემული ჭიათურის ა. ლ. კ. კავშირიდან ლავრენტი გულიაშვილის სახელზე № 1435. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ულის ქ. № 3.